შპს „ალიანს მედი“

ჟალიაშვილის ქ. #83 თბილისი, საქართველო

„ALLIANCE MEDI“ LTD

83 PALIASHVILI STR. TBILISI, GEORGIA

31 მარტი, 2017 წელი

 # 36 -01/17

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო ბერძულს

ასლი - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“

ქალბატონო ნინო,

თქვენთვის ცნობილია, რომ 2016 წლის 30 დეკემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და შპს „ალიანს მედის“ (ს/ნ 405108477) შორის გაფორმდა ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „ალიანს მედის“, როგორც „მყიდველს“ საკუთრებაში გადაეცა ქ. ქარელში, ფანასკერტელის ქუჩა, №30-ში მდებარე უძრავი ქონება (სკ 68.10.45.028) და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოძრავი ქონება.

აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტობა, შესაბამისად 2017 წლის 30 იანვარს განხორციელდა სანებართვო მოწმობის და დანართების გადაცემა;

შესაბამისად დღეის მდგომარეობით შპს „ალიანს მედი“ ფლობს სტაციონარული ნებართვის დანართს „სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა-გინეკოლოგია“-#003934 „ნეონატოლოგია“-#003938; „მეანობა“- #003937.

პერინატალური სერვისების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შესაბამისი დონის მინიჭების მიზნით ჩატარებული ინსპექტირების/შემოწმების შედეგად ქარელის საავადმყოფო ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მიერ მოთხოვნილ I დონის მოთხოვნებს იმ არსებული ინფრასტრუქტურით, რა მდგომარეობაშიც 2017 წლის 01 თებერვალს განხორციელდა გადმოცემა არსებული სამედიცინო დაწესებულების. ამასთან პერინატალური სერვისის მიწოდება არსებული ინფრასტრუქტურით პაციენტისთვის არის საფრთხის შემცველი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მოსახელურეობის ფილიალი
შემოსავლის № 27048/2
31 03 2017
ფურცელი

შპს „ალიანს მედი“

ფალიაშვილის ქ. #83 თბილისი, საქართველო

„ALLIANCE MEDI“ LTD

83 PALIASHVILI STR. TBILISI, GEORGIA

ამავდროულად გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით ქარელში ფუნქციონირებს სამშობიარო სახლი „დასტაქარი“ და რაიონის მოსახლეობა არ რჩება პერინატალური სერვისის მიწოდების გარეშე.

გამომდინარე იქედან რომ დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს საქართველოს 2016 წლის 26 დეკემბრის #2659 და #2658 განკარგულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებები, რაც გულისხმობს ქარელში ახალი საავადმყოფოს მშენებლობას, გთხოვთ მშენებლობის დასრულებამდე შეგვიჩეროთ საქმიანობის უფლება ქვემოთ მითითებული სტაციონარული სანებართვო მოწმობის დანართებით განსაზღვრულ საქმიანობებში:

- „სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა-გინეკოლოგია“-# 003934
- „ნეონატოლოგია“-#003938
- „მეანობა“- #003937

გთხოვთ გვაცნობით თქვენი პოზიცია და გაუქმების შემთხვევაში დაგვიდასტუროთ, რომ აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება უწყვეტობის ვალდებულების შეუსრულებლობად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მზად ვართ მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

გიორგი თობაძე----------

დირექტორი

ALLIANCE MEDI LTD 405108477 TBILISI GEORGIA